MES 2 22 0000677779

21/06/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 07.06.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:07 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:29 სთ
სხდომის თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი;
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
3. **ირინა გველესიანი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
4. **მაკა კაჭარავა -** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
6. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
8. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
9. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

10.დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
11.ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
12. გურანდა ჭელიძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	**თამთა ანთიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	**სოფიკო ქურასბედიანი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	**ანა ჯავახიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	**ნინო გულიაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	კახაბერ კორძაია	**შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი**	უნივერსიტეტის რექტორი	I
2	ვახტანგ წივწივაძე		უნივერსიტეტის კანცლერი	I
3	მარინა გედევანიშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
4	ვახტანგ მაისაია		„საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების“ სამაგისტრო	I

			საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	
5	თეა კორძაძე	**სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
6	ნათია ღაჭავა		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების განყოფილების უფროსი	II
7	აზა იფშირაძე		„საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II
8	ნანა რუსაძე		„საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II
9	ნანა შონია		ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	II
10	თენგიზ კუპრაშვილი		ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
11	თეიმურაზ ქორიძე	**შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი**	უნივერსიტეტის რექტორი	III, IV
12	თამარ ტუფინაშვილი			III, IV

			უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
13	ქეთევან ნანობაშვილი		ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი	III, IV
14	სოფო ჩქოფოია		„საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	III, IV
15	მანუჩარ ლორია	**სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია**	უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი	V
16	ნინო ყურშუბაძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	V
17	ირაკლი თავბერიძე		ფაკულტეტის დეკანის მ/შ, ასისტენტ პროფესორი	V
18	ქეთევან ჭანიძე		„ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	V
19	ასლან მახაძე		„ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ყოფილი ხელმძღვანელი, ემერეტუსი	V
20	გულადი თხილაიშვილი		ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი,	V

			ასოცირებული პროფესორი	

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ივანნა მაჩიტიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, III, IV
2	ეკა დარბაიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ნინო ფარსადანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	თამარ ბერიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	ნინო ჯოჯუა	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ვლადიმერ ბერაია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
8	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
9	რუსუდან სეთურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:07 საათზე.

სხდომისთავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;
3. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;
4. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;
5. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· კი

შუამდგომლობა წარადგინა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა რომ მეოთხე საკითხი, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა, განხილულიყო პირველ საკითხად;

საბჭომ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;
4. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;
5. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;

1. პირველი საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო უსაფრთხოება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	05.03.2019 გადაწყვეტილება №58
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე

9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები - 0312
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ჩარგლის ქუჩა №73 , ნაძალადევის რაიონი, თბილისი, სასწავლო კორპუსი №1, 0141, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, განაცხადა, რომ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგი, დისტანციურ ფორმატში, 18 მარტი - 14 აპრილის პერიოდში, ამ დროის განმავლობაში ექსპერტებმა შეისწავლეს, როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაცია. შეფასდა აკრედიტაციის პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები.

„საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების“ სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. 1.1. კომპონენტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 1.2. კომპონენტი კი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; 2.1, 2.4, 2.5, 2.6 კომპონენტები შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 2.2, 2.3 კომპონენტები, კი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; 4.1, 4.2, 4.3, 4.4 კომპონენტები შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

კომპონენტი 1.2

პროგრამის სწავლის შედეგების მეტად ეფექტიანი, სისტემატიური და უწყვეტი შეფასებისთვის საჭიროა სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა, მიზნების და შედეგების რუკის შემუშავება, ასევე, სწავლის შედეგების განვითარების დონეების განსაზღვრა;

კომპონენტი 2.2

ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს, სამაგისტრო ნაშრომის კრედიტების მოცულობა გაიზარდოს და გახდეს 30 კრედიტი. ამავე დროს, აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები, მიუხედავად თავისი საკვანძო როლისა სტუდენტის მიერ კვლევითი უნარების განვითარებისთვის, რეკომენდებულია, გადავიდეს სავალდებულო სასწავლო კომპონენტში;

კომპონენტი 2.3

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის, პოლიტიკის თეორიის, დიპლომატია და მსოფლიო პოლიტიკური პროცესების (განსაკუთრებით, ცოდნა-გაცნობიერების კომპონენტის მხრივ) სასწავლო კურსების შემთხვევაში სწავლის შედეგების ფორმულირებაში უნდა გაკეთდეს აქცენტი ღრმა, სისტემურ ცოდნაზე და მის კრიტიკულ გააზრებაზე, რაც შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურის მოთხოვნებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს პოზიტიური დასკვნისთვის, რადგან მათ დაინახეს დაწესებულების მიერ გადადგმული ნაბიჯები, რომლებიც დადებითად შეაფასეს, თუმცა დაწესებულებას აქვს თავისი პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

„საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ვახტანგ მაისაიამ, განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა გაიზიარა აღნიშნული რეკომენდაცია და სილაბუსებში „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, „პოლიტიკის თეორია“ და „დიპლომატია და მსოფლიო პოლიტიკური პროცესები“ დააზუსტა სწავლის შედეგების ფორმულირებები, სამივე საგანი სავალდებულოა, გადიან კვლევების მიმართულებით და აუცილებელია მათი შესრულება. ზემოაღნიშნული ისედაც ჰქონდათ გათვალისწინებული, ასევე კვლევები საერთაშორისო ურთიერთობებში, რაც წარმოადგენს კვლევით კომპონენტს და სავალდებულო საგანია, ისევე როგორც „საგარეო პოლიტიკის ანალიზი“, რომელიც კვლევის კომპონენტს პროგრამაში აძლიერებს. როდესაც პროგრამამ მიღო 7 წლიანი აკრედიტაცია, იმ პერიოდისათვის

დაფიქსირებული იყო, რომ კვლევა საკმაოდ მაღალ დონეზე ისწავლებოდა. რჩევების შესახებ კი განმარტა, რომ უკვე მიიღეს ზომები და გააძლიერეს აღნიშნული მიმართულება, რადგან უნივერსიტეტში შეიქმნა ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური და რადიოლოგიური საფრთხეების კვლევების ინსტიტუტი, რომელიც სწორედ უსაფრთხოების კვლევების მიმართულებით ავითარებს პროგრამას. მაგისტრანტები უკვე გადიან სამაგისტრო პრაქტიკას იმ ინსტიტუტში, რომელმაც ტრაპზონში საერთაშორისო ტრენინგი ჩაატარა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მოუწოდა ესაუბრათ რეკომენდაციების შესახებ.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ გეგმავენ მოიწვიონ კანადელი პროფესორი, რომელიც არის ნატოს თავდაცვის კოლეჯის ვიცე-რექტორი და კანადის სამეფო სამხედრო აკადემიის პროფესორი, რომელიც სპეციალურ ტრენინგებს ჩაატარებს მიმდინარე წლის ივნისის ბოლოს. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენლები გეგმავენ მათთანაც დაამყარონ სტრატეგიული პარტნიორობა მემორანდუმის დონეზე.

1.2 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ დაწესებულებას გაკეთებული ჰქონდა სამიზნე ნიშნულები.

სხდომის თავმჯდომარისთვის გასაგებია, რომ დაწესებულება იზიარებს 2.3 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციას, რაზეც ისაუბრეს, რომ განახორციელეს ცვლილებები, თუმცა საბჭო უფლებამოსილია გაითვალისწინოს მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც დასკვნის წარმოდგენის პროცესში იყო, დასკვნის შემდეგ გამოსწორებული ხარვეზებს/რეკომენდაციებს საბჭო მხედველობაში ვერ მიიღებს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა, პირველი რეკომენდაციის (პროგრამის სწავლის შედეგების მეტად ეფექტიანი, სისტემატიური და უწყვეტი შეფასებისთვის საჭიროა სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა, მიზნების და შედეგების რუკის შემუშავება, ასევე, სწავლის შედეგების განვითარების დონეების განსაზღვრა) შესახებ განაცხადა, რომ პროგრამას ახლავს 6 დანართი. დანართი №5 არის პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა, რომლის მსგავსიც უნივერსიტეტში არსებულ ყველა პროგრამას ახლავს. სამიზნე ნიშნულების შესახებ მან განაცხადა, რომ, როდესაც პირველად აღნიშნული პროგრამა წარადგინეს, მაშინაც ჰქონდათ წარდგენილი სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც შემუშავდა ყველა მოქმედი პროგრამისთვის. შესაბამისად, გაწერილია, თუ რამდენი პროცენტია მათთვის სამიზნე ნიშნული, როდესაც ცენტრს ჩააბარეს აკრედიტაციის დოკუმენტები მოეთხოვებოდათ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების წარმოდგენა და როგორ გამოთვალეს შედეგები, იმუშავა თუ არა აღნიშნულმა დოკუმენტმა, რაც აღწერილი და გადაგზავნილი იყო. როდესაც „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ შესაბამისობაში მოყვანილი პროგრამა გაგზავნეს, აღნიშნული დოკუმენტების წარდგენა არ ევალებოდათ, ხოლო დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ კი არგუმენტირებულ პასუხშიც გაწერეს და დოკუმენტიც გაგზავნეს, თუ როგორი იყო 2018 წელს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და რა შედეგები მიიღეს 2016-2018 წლებში კურსდამთავრებულების შემთხვევაში ანუ თუ როგორ იმუშავა მექანიზმმა. როდესაც, პროგრამა გადაიყვანეს სამ შედეგზე დასჭირდათ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შეცვლა, რაც 2021 წელს გააკეთეს, როდესაც „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ შესაბამისობაში მოყვანილი პროგრამა გადაუგზავნეს ცენტრს და, შესაბამისად, გაგზავნეს 2021 წელს შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებიც, დათვალეს თუ როგორ იმუშავა მოცემულმა პროცესმა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 75% იყო სამიზნე ნიშნული, 2018 წლის კურსდამთავრებულთა თანახმად კი 83%, რაც ძალიან კარგ შედეგად მიიჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას არ სჭირდებოდა ძირეული ცვლილება დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებები და დაამატა გარკვეული სასწავლო კურსები, მაგ., „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, ვინაიდან საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის კვალიფიკაციას ანიჭებდნენ. რაც შეეხება 2021 წლის კურსდამთავრებულებს, მათ უფრო მაღალი შედეგები ჰქონდათ, დაახლოებით, 97%-მა დაძლია A, B, C და D შეფასება. მან

დასძინა, რომ ყველა აღნიშნული დოკუმენტი გადაგზავნილია ექსპერტებთან, თუმცა საბოლოო დასკვნის დაწერისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იქნა გათვალისწინებული.
მეორე რეკომენდაციის (ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს, სამაგისტრო ნაშრომის კრედიტების მოცულობა გაიზარდოს და გახდეს 30 კრედიტი. ამავე დროს, აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები, მიუხედავად თავისი საკვანძო როლისა სტუდენტის მიერ კვლევითი უნარების განვითარებისთვის, რეკომენდებულია, გადავიდეს სავალდებულო სასწავლო კომპონენტში) შესახებ, მან განაცხადა, რომ სამაგისტრო ნაშრომის მოცულობის 30 კრედიტამდე გაზრდა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ სხვა სასწავლო კურსების კრედიტების შემცირების ან რომელიმე სასწავლო კურსის ამოღების ხარჯზე, რაც გამოიწვევს პროგრამის სტრუქტურის ცვლილებასა და მოდიფიცირებას. სამაგისტრო ნაშრომი პროგრამაში მოიაზრება, როგორც სამეცნიერო კვლევის კომპონენტის (35 კრედიტი) შემადგენელი ნაწილი. „აკადემიური წერა“ და „კვლევის მეთოდები საერთაშორისო ურთიერთობებში“ სტრუქტურულად მოიაზრება სამეცნიერო კვლევის კომპონენტში, თუმცა ისინი ისეთივე სავალდებულო სასწავლო კურსებია, როგორც სამაგისტრო ნაშრომი, ხოლო მათი – სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში გადატანა მთლიანად სტრუქტურის ცვლილებას გამოიწვევს, რაც დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით არ არის მიზანშეწონილი, რადგან აღნიშნული სასწავლო კურსი სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობაა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ, განაცხადა, რომ პროგრამა შინაარსობრივად საკმაოდ მდიდარი და ღრმაა. იგი დაინტერესდა სასწავლო კურსის „ნატო - საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტი“ შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო, მიმდინარე პერიოდში, როდესაც აღარაფერი იძლეოდა მტკიცებითი ფორმით რაიმე გარანტიების ქონის შესაძლებლობას, რომ სასწავლო კურსში ყოფილიყო მოხსენიებული აღნიშნული სახელწოდებით, თუმცა შინაარსში კარგად არის გაშლილი თემატიკა, ასევე, კარგად ჩანს პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენცია, თუმცა საბჭოს წევრის მოსაზრებით სასურველია სასწავლო კურსის სახელწოდების ცვლილება.
საბჭოს წევრი, ირინა ლობჟანიძე, დაინტერესდა არის თუ არა სავალდებულო სამაგისტრო ნაშრომის დაცვა და შეუძლია თუ არა სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის დაცვა „აკადემიური წერისა“ და „კვლევის მეთოდების“ გავლის გარეშე.
საბჭოს წევრმა, დავით ჩოჩიშვილმა, განაცხადა, რომ იგი გაეცნო გამოკითხვებს და პერსონალის/სტუდენტების გამოკითხვის დოკუმენტში აკადემიური/მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კითხვარი ცალკე იდო, რომელშიც დიაგრამაზე მითითებული იყო ასაკის შუალედი 20-29 წელი, საბჭოს წევრი დაინტერესდა ეს ტექნიკური ხარვეზი იყო თუ მართლა ჰყავდათ 20 წლის აკადემიური პერსონალი.
„საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, ვახტანგ მაისაიამ, ნატოს შესახებ სასწავლო კურსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე ყურადღება გაამახვილეს რეგიონალური უსაფრთხოების მოდულებზე და, შესაბამისად, უსაფრთხოების კომპონენტი გააძლიერეს რეგიონული უსაფრთხოებით საერთაშორისო ურთიერთობებთან ერთად. აქედან გამომდინარე გამოყვეს რეგიონული უსაფრთხოების 6 მოდული, როგორც ცნობილია საერთაშორისო უსაფრთხოების ფორმატში თანაბრად განიხილება ევროპული და ევროატლანტიკური უსაფრთხოების მოდულები, ამიტომ ორივე კომპონენტი გაწერეს, როგორც სასწავლო კომპონენტი, რათა მათ წვლილი შეეტანათ ევროატლანტიკური ინტეგრაციის განვითარების სფეროში. 2013 წელს, როდესაც დაიწყო პროგრამის განვითარება, საკმაოდ აქტუალური იყო ინტეგრაციის პროცესი და დაწესებულებამ გაითვალისწინა საერთაშორისო ურთიერთობების კონიუქტურული გეოპოლიტიკური მომენტები, დაწესებულებამ აიღო ორი მიმართულება ევროპული უსაფრთხოება და ევროატლანტიკური უსაფრთხოება. შესაბამისად, აღნიშნული სასწავლო კურსი „ნატო - საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტი“

ევროატლანტიკური უსაფრთხოების რეგიონალური მოდელის კუთხით განვითარებას წარმოადგენს, რომლის შესახებაც კეთდებოდა სამაგისტრო კვლევები და იცავდნენ დისერტაციებს. ასევე, რადგან ნატომ გააფართოვა თავისი არეალები და მხოლოდ კოლექტიური თავდაცვით აღარ მოქმედებს, თუნდაც 2007-2010 წლების ნატოს სტრატეგიული კონცეფციების მიხედვით შემოვიდა ტერმინი „არა მეხუთე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების აღსრულება“ ნატოს მიერ კოლექტიური უსაფრთხოების მიმართულებით, მაგ., იუგოსლავიის კონფლიქტთან მიმართებით, სამშვიდობო ოპერაციები ავღანეთში, კოსოვოში და ა.შ., რომელიც ხორციელდება არა კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპის ფორმატში და არა მეხუთე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების კუთხით. ბუნებრივია, რომ აღნიშნული აისახა სასწავლო კურსის სათაურში, რათა სრულად წარმოეჩინათ შუა ატლანტიკური ალიანსის როლი ევროატლანტიკური მოდულის განმტკიცების საქმეში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებას სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად განსაზღვრული ჰქონდა „აკადემიური წერა“, თუმცა, როდესაც ხარვეზი გამოასწორეს და თავიდან გააგზავნეს, „სამეცნიერო კვლევის მეთოდებიც“ გაიწერა წინაპირობად. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრების საპასუხოდ კი არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტეს, რომ ყველა საგანი ვერ იქნებოდა სავალდებულო, მითუმეტეს თეორიული საგნები, რადგან წინაპირობებია მეორე-მესამე სემესტრის საგნებისა. გარდა ამისა, დაწესებულებას გაგზავნილი აქვს სტრუქტურა, რომელშიც მონიშნულია თუ რაზე აპირებენ მსჯელობას აკადემიურ საბჭოზე პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ერთად და რა ცვლილება შეიძლება შევიდეს წინაპირობებში. სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად „აკადემიური წერა“ აქამდეც იყო გაწერილი და ახლა კვლევის მეთოდები აუცილებლად უნდა გაიწეროს, რაშიც დაწესებულება ექსპერტთა ჯგუფს ეთანხმება. სამაგისტრო ნაშრომის შესახებ ინფორმაცია პროგრამის აღწერით ნაწილშია გაწერილი, რომელიც სავალდებულო კომპონენტია, რადგან სამაგისტრო ნაშრომის დაცვის გარეშე მაგისტრანტს ვერ მიენიჭება კვალიფიკაცია, აღნიშნული გაწერილია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში“, რომ მაგისტრანტმა აუცილებლად უნდა შექმნას სამეცნიერო ნაშრომი. მისი თქმით, ადმინისტრაციაში დასაქმებული ჰყავთ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები, რადგან მათთვის ერთგვარი პრიორიტეტია მათივე სტუდენტების დასაქმება, მუდმივად არიან მობილიზებულნი სტუდენტების უნივერსიტეტის საქმიანობაში ჩართვისკენ. აკადემიურ პერსონალში კი ჰყავთ სტუდენტი, რომელიც არის მაგისტრანტი მევენახეობა-მეღვინეობის პროგრამაზე და კითხულობს „დეგუსტაციის საფუძვლებს“, მას აქვს რამდენიმე საერთაშორისო სერტიფიკატი და არის საკმაოდ ცნობილი სპეციალისტი ორგანოლეპტიკურ კვლევაში/დეგუსტაციაში. შესაბამისად, ეს მონაცემი შესაძლებელია მასთან იყოს დაკავშირებული.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში 1.2 კომპონენტთან დაკავშირებით აღნიშნულია: „„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშით ზემოაღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენა არ გვევალებოდა, თუმცა ექსპერტთა მხრიდან აღნიშნული დოკუმენტების დამატებით წარდგენის მოთხოვნა რომ ყოფილიყო, უნივერსიტეტი წარადგენდა უპრობლემოდ.“ ზეპირი მოსმენისას, კი დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ მოგვიანებით გააგზავნეს მტკიცებულებები, რაც დასკვნაში ასახული არ არის. მან სთხოვა ექპერტთა ჯგუფს ესაუბრათ აღნიშნულ საკითხზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ივანა მაჩიტიძემ, განმარტა, რომ საუბარია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ შესაბამისობასა და იმ ფორმულირების დაზუსტებაზე, რომელიც საჭიროა ზოგი სასწავლო კურსის ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ აქცენტი გაეკეთებინა მიზნებისა და შედეგების რუკისა და სამიზნე ნიშნულების შესაბამისობაზე. მან დაადასტურა, რომ ნამდვილად მიიღეს დამატებითი დოკუმენტაცია, მაგრამ არ ჰქონდათ უფლება გაეთვალისწინებინათ დოკუმენტაცია, რომელიც გადაგზავნილი

იყო არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია დატოვეს უცვლელად.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა, სხდომის თავმჯდომარის მიერ გაჟღერებული წინადადების შესახებ განაცხადა, რომ დაწესებულებამ შეფასების პერიოდში ექსპერტთა ჯგუფისგან მიიღო დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვის შესახებ ცენტრის წერილი, რის საფუძველზეც დაწესებულებამ გააგზავნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი, სადაც არ იყო ლაპარაკი სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებზე, სამიზნე ნიშნულებზე, მიზნებისა და შედეგების რუკაზე. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, თუ გამოითხოვდნენ აღნიშნულ დოკუმენტსაც, დასკვნის პროექტშიც არ გაჩნდებოდა ზემოაღნიშნული რეკომენდაცია. სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტში გარდა სამიზნე ნიშნულებისა დაწესებულებას აქვს სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა, სადაც აღნიშნულია რომელი სასწავლო კურსი გამოუმუშავებს სტუდენტს საბაზისო ცოდნას, რომელი განმავითარებელს, რომელი პრაქტიკულს და ა.შ. შესაბამისად, მისთვის გაუგებარია აღნიშნული რეკომენდაცია, რადგან ზემოხსენებული დოკუმენტი ყველა პროგრამაზე აქვთ და მსგავსი რეკომენდაცია არასდროს გაცემულა.
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, დაეზუსტებინათ ზემოაღნიშნული რეკომენდაცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ივანა მაჩიტიძემ, განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაციის დატოვება საჭიროდ მიიჩნიეს, რადგან ორ სტანდარტში, სადაც წერია ცალ-ცალკე რეკომენდაციაა, მაგრამ შესაძლებელია ფორმულირების დაზუსტება საჭირო იყოს 1-2 რეკომენდაციაში, რადგან 2.3 კომპონენტის რეკომენდაცია შეესაბამება საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის, პოლიტიკის თეორიის, დიპლომატიისა და მსოფლიო პოლიტიკური პროცესების სასწავლო კურსებს, შესაძლებელია იყოს 3 სასწავლო კურსი, თუმცა საუბარია საკვანძო სასწავლო კურსზე, პროგრამის კონცეპტუალური ხედვისთვის. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად გააგზავნა დოკუმენტაციაც, საჭირო იყო დაზუსტება იმ ცვლილებებიდან გამომდინარე, რაც განხორციელდებოდა აღნიშნულ სამ სასწავლო კურსში.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მარინა გედევანიშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებას ედავებიან მიზნებისა და შედეგების რუკის არ ქონას. სამ სასწავლო კურსში კონკრეტული დეტალის ჩასწორებას, დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფს, რომ თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი საბოლოო ჯამში პროგრამის სწავლის შედეგია, თუმცა ეს არ არის გადმოტანილი შედეგების ჯამში.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:47
დასრულების დრო: 15:08

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ სხდომის თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 1.2 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებას არ გამოუწვევია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ხარვეზების გასასწორებლად დამატებით 60 დღიანი ვადის განსაზღვრის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:
რეკომენდაციები:
1. ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს, სამაგისტრო ნაშრომის კრედიტების მოცულობა გაიზარდოს და გახდეს 30 კრედიტი;
2. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის, პოლიტიკის თეორიის, დიპლომატია და მსოფლიო პოლიტიკური პროცესების (განსაკუთრებით, ცოდნა-გაცნობიერების კომპონენტის მხრივ) სასწავლო კურსების შემთხვევაში გადაიხედოს სწავლის შედეგები, მეტი აქცენტი გაკეთდეს ღრმა, სისტემურ ცოდნაზე და მის კრიტიკულ გააზრებაზე; მეტად მოვიდეს შესაბამისობაში მაგისტრატურის საფეხურის მოთხოვნებთან და აისახოს სწავლების შედეგების რუკაში;
რჩევები:
1. სასურველია მეტი ყურადღების მიქცევა იმ დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე, სადაც სტუდენტებს შეეძლებათ პრაქტიკული გამოცდილების მიღება საერთაშორისო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, რაც უშუალოდ პროგრამის ფოკუსია;
2. სასურველად მივიჩნევთ, მეტ ხელშეწყობას მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის მათი კვალიფიკაციის და პროფესიული განვითარების ზრდის ამაღლების მეტი შესაძლებლობების შექმნით.

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს რეკომენდაციები რომლებიც ოქმშია მოცემული.

15:02 საათზე საბჭოს შემოუერთდა ნინო ჭალაგანიძე.

2. მეორე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა Public Administration
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	17.11.2011 გადაწყვეტილება №118
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის ბაკალავრი Bachelor of Public Administration
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მენეჯმენტი და ადმინისტრირება - 0413
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქუჩა, №59, ქუთაისი, 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
სხდომის თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მეორე, მესამე და მეხუთე

სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეოთხე სტანდარტი კი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ფარსადანიშვილმა, განაცხადა, რომ აკრედიტაციის ვიზიტის დრო ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა მრავალი ფაქტორი, როგორც თვითონ პროგრამის შინაარსის, ასევე მისი მნიშვნელობის კუთხით, რადგან წარმოდგენილი პროგრამა პირდაპირ კავშირშია საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 აპრილის 185-ე დადგენილებით დამტკიცებულ სახელმწიფო პროგრამასთან. განახლებული რეგიონები, რომლის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს დაბალანსებული და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შექმნა, მეტი ტურისტის მოზიდვა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური გარემოს გაუმჯობესება საქართველოს 63 მუნიციპალიტეტში, რაც ბევრ სხვა კომპონენტთან ერთად ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად უწყებათაშორის კოორდინირებულ თანამშრომლობას მოიცავს. სწორედ ამიტომ, რეგიონული განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ადგილობრივ დონეზე დაგეგმვა და რეალიზაცია, წარმოუდგენელია შესაბამისი განათლებით აღჭურვილი კადრების გარეშე. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა პროგრამის მნიშვნელობა რეგიონისთვის.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. რეკომენდირებულია, რომ სასწავლო კურსის „ეკონომიკის პრინციპები“, შეთავაზება მოხდეს არა ინგლისურ, არამედ ქართულ ენაზე;
2. რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსი „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“ შეთავაზებულ იქნას ქართულ-ინგლისურენოვანი კომპონენტებით;
3. რეკომენდებულია, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი“ გადატანილ იქნას სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტში - აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან დასაქმების პრაქტიკიდან გამომდინარე სტუდენტთა ერთი ნაწილი, სწორედ მუნიციპალურ ორგანოებში მუშაობს;
4. პროგრამის დოკუმენტაცია მოვიდეს შესაბამისობაში ერთმანეთთან და გასწორდეს ცდომილებები;
5. ცხადად უნდა გაიწეროს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის მუშაობის შეფასების პროცედურა; აღნიშნული შეფასება განხორციელდეს სისტემატური ხასიათით და შედეგები აისახოს დოკუმენტალურად.
მან აღნიშნა, რომ პროგრამის დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების ერთი ნაწილი, ასევე წარმოადგინა გარკვეული ცვლილებები პროგრამაში, რომელთა განხილვა ექსპერტთა ჯგუფის უფლებამოსილებას სცდებოდა.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თეა კორძაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ ყველა რეკომენდაციას, რომლებიც უკვე გათვალისწინებულია. ერთი რეკომენდაციის შესრულებამ გამოიწვია მცირე ცვლილებები პროგრამაში, რომლის გათვალისწინების უფლებაც ექსპერტთა ჯგუფს აღარ ჰქონდა. ინგლისურ ენასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ვინაიდან ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში გაჰყავდათ პროგრამა ინგლისურ და, ზოგადად, უცხო ენებს დაემატა მეოთხე სემესტრი, ანუ სტუდენტები სრულფასოვნად შეისწავლიან უცხო ენებს. გარდა ამისა დაწესებულება აბიტურიენტებს სთავაზობს გარკვეულ ტესტებს და მათი შედეგების გათვალისწინებით ანაწილებს სტუდენტებს ჯგუფებში დონის შესაბამისად. საბაკალავრო

პროგრამებში მეოთხე-მეხუთე სემესტრიდან სთავაზობენ არჩევით სასწავლო კურსებს ინგლისურ ენაზე, ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით. ვინაიდან ბოლო ორი წლის მანძილზე ფაკულტეტზე საკმაოდ მაღალი დონის ინგლისური ენის კომპეტენციის მქონე სტუდენტები მიდიან დაწესებულებამ გადაწყვიტა, რომ პროგრამაში პირველივე სემესტრში შეეთავაზებინათ სასწავლო კურსი ინგლისურ ენაზე, ეს არის ძალიან მცირერიცხოვანი ჯგუფისთვის და იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც შემდეგ Erasmus+ გაცვლითი პროგრამებში გეგმავენ მონაწილეობის მიღებას.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ 2.2 კომპონენტში, პირველი, მეორე და მესამე რეკომენდაციას დაწესებულება იზიარებს, თუმცა, 4.1 და 4.2 კომპონენტებში წარმოდგენილ რეკომენდაციასთან დაკავშირებით არგუმენტირებულ პოზიციაში არ არის საუბარი.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თეა კორძაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულება იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციებს და ბოლო 4-5 თვეა დაწყებულია მსჯელობა აღნიშნული დოკუმენტის შემუშავებაზე, რადგან ოფიციალური სახით არ აქვთ მოცემული შეფასების დოკუმენტი, თუმცა ამ ეტაპზე დასრულებული და აკადემიურ საბჭოზე დამტკიცებული დოკუმენტი არ აქვთ.

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ნანა შონიამ, განაცხადა, რომ უნივერსიტეტში ხდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის გაუმჯობესებაზე მუშაობა, დეპარტამენტები აფასებენ და შემდეგ სასწავლო ნაწილში იგზავნება, რომელიც დამატებით ამოწმებს მას, თუ რამდენად შეასრულა აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა სამეცნიერო დატვირთვა. ამასთანავე, დაწყებულია მექანიზმის შემუშავება. სასწავლო კურსის „ეკონომიკის პრინციპების“ შესახებ მან განაცხადა, რომ პროგრამით აღნიშნული დისციპლინა გათვალისწინებულია ქართულ-ინგლისურ ენებზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ პროგრამა საინტერესო ლოგიკით არის აწყობილი, თუმცა არის ტექნიკური ხარვეზები, რაზეც საუბრობს ექსპერტთა ჯგუფიც. მისი თქმით, სასწავლო გეგმაში დისციპლინა „ადამიანური რესურსების მართვა“ ორჯერ არის მითითებული, რაც მისი მოსაზრებით ტექნიკური ხარვეზია, თუმცა დაინტერესდა თუ სად და როგორ უნდა იყოს გაწერილი, რადგან ორ სხვადასხვა კომპონენტშია მითითებული. ძირითადი სფეროს სავალდებულო კურსებში მითითებულია სასწავლო კურსი „სოციალური ფსიქოლოგია“, საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რა ლოგიკით ჩასვეს აღნიშნული სასწავლო კურსი, რატომ არის საჯარო მმართველობისთვის „სოციალური ფსიქოლოგია“ ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსი და „სამოქალაქო საზოგადოება და პოლიტიკური კულტურა“ ან „კონფლიქტების მართვა“ თავისუფალი კომპონენტი. მისი თქმით, სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსების მართვა“ სილაბუსი ქართულ-ინგლისურ ენაზე იყო წარმოდგენილი. შესაბამისად, დაინტერესდა უნდა განხორციელდეს თუ არა ინგლისურ ენაზე აღნიშნული სასწავლო კურსი, რადგან ზემოაღნიშნული ორი სილაბუსი (ქართულ და ინგლისურენოვანი) სხვადასხვა სწავლის შედეგებზე გადის, განსხვავება არის სწავლების მეთოდებშიც და შეფასების კომპონენტშიც, დაინტერესდა თუ რომელი იყო სწორი. მან განმარტა, რომ თუკი ეს არის ინგლისურენოვანი სასწავლო კურსი, მასალა ძირითადად ქართულია, დააზუსტა თუ რამდენად დაძლევადია არა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის, მსგავსი სიტუაციაა „Time Management-შიც“. მან დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა დაეზუსტებინათ, ხომ არ ესაჭიროებოდა სასწავლო კურსი „სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა“ წინაპირობად ზოგად სტატისტიკას.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ, აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით აკრედიტაციის ვიზიტის დროს გართულდა ინფორმაციის მოპოვება აკადემიური პერსონალის რაოდენობის შესახებ, ამიტომაც დაინტერესდა თუ რამდენი აფილირებული პერსონალი ჰყავს პროგრამას. ასევე, დაინტერესდა დაწესებულების

წარმომადგენელთა მოსაზრებით, თუ რამდენად მდგრადია პროგრამა და რომელი ხარისხის მქონე კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა-სწავლების პროცესში მონაწილეობის მიღება და არსებობს თუ არა ამასთან დაკავშირებით რაიმე სახის შიდა რეგულაციები.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, შეახსენა რეკომენდაცია ცდომილებების გასწორების შესახებ, სთხოვა დაეზუსტებინათ, ხომ არ იყო საუბარი ტექნიკურ ხარვეზებზე. მისი მოსაზრებით სასწავლო გეგმა ისეა აგებული, რომ უცხო ენები განისაზღვრება არა მხოლოდ ინგლისურით, არამედ ყველა უცხო ენით, საიდანაც ერთ-ერთია არჩევითი. ასევე, პროგრამის წინაპირობები არის იგივე, რაც კანონით არის მოთხოვნილი, დაწესებულებას არ აქვს გაწერილი იმპერატიული მოთხოვნა, რომ აპლიკანტმა აუცილებლად უნდა ჩააბაროს ინგლისური ენა. საბჭოს წევრი, ასევე, დაინტერესდა თუ რამ განაპირობა ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების წარმოდგენა პირველ სემესტრში.
საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა, განაცხადა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაციის თანახმად რეკომენდებულია, ცხადად გაიწეროს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების პროცედურა. მან დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა განემარტათ, თუ რა სახის ღონისძიებები ტარდებოდა პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით და რა მოთხოვნები იყო წარდგენილი.
სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში წერია - „დამატებით გამოთხოვილ დოკუმენტაციაშიც არ არის მოწოდებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტაცია“, საუბარი იყო პროცედურაზე, თუმცა მისი კითხვა საქმიანობის შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტური უზრუნველყოფას ეხება. 5.2 კომპონენტში გარე შემფასებლის შეფასების დოკუმენტაცია არ იყო წარდგენილი სააკრედიტაციო დოკუმენტებში და მისთვის საინტერესოა დაწესებულების პოზიცია აღნიშნულთან დაკავშრებით. აკადემიური პერსონალის შესახებ მან აღნიშნა, რომ სხვადასხვა დოკუმენტში სხვადასხვა რაოდენობაა მითითებული. შესაბამისად, სთხოვა დაწესებულებას დაეკონკრეტებინათ აღნიშნული.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ფარსადანიშვილმა, მეორე სტანდარტის კომპონენტების შესახებ განაცხადა, რომ სრულიად იზიარებს საბჭოს წევრის პოზიციას ინგლისურ და ქართულ ენაზე გაწერილი სილაბუსების სხვაობის შესახებ. აღნიშნული საკითხი ექსპერტთა ჯგუფმაც განიხილა, პირველ რიგში „ეკონომიკის პრინციპები“, რომელიც პირველ სემესტრში არის შეთავაზებული ინგლისურ ენაზე, მიუხედავად ინტერნაციონალიზაციის მაღალი მიზნებისა, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა გარკვეული კითხვები, რადგან საუბარია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სტუდენტებისთვისაც „ეკონომიკის პრინციპები“ სირთულით გამორჩეული საგანია და მისი მოსაზრებით ინგლისურ ენაზე ვერ მიაღწევდნენ გაწერილ სწავლის შედეგებს. ასევე გაითვალისწინეს, რომ პროგრამის კურიკულუმში გაწერილია ინგლისური ენის სწავლება, როგორც სასწავლო კომპონენტი, ზედა სემესტრებში ნასწავლი ინგლისური უფრო უკეთ/სიღრმისეულად ფარავს იმ ასპექტებს, რაც სტუდენტს პროფესიული ენით შეთავაზებული საგნების დაძლევას უადვილებს. სწორედ ეს იყო მათთვის რეკომენდაციის გაცემის განმაპირობებელი, რადგან სასწავლო კურსის გადატანა სხვა სემესტრში დაარღვევდა პროგრამის კურიკულუმს.
ექსპერტთა ჯგუფმა ასევე გაიზიარა საბჭოს წევრის მოსაზრება „ადამიანური რესურსების მენეჯმენტის“ სასწავლო კურსის შესახებ, რომ განსხვავებული მონაცემებით არის სილაბუსში წარმოდგენილი ინფორმაცია ქართულ-ინგლისურ ენაზე. შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩათვალეს, რომ ინგლისური კომპონენტი მთლიანად არ გამქრალიყო და დარჩენილიყო ქართულენოვან კომპონენტთან ერთად. „სოციალური ფსიქოლოგიისა“ და „კონფლიქტების მართვის“ სასწავლო კურსების შესახებ კი აღნიშნა, რომ, როგორც აკრედიტაციის ვიზიტის დროს, ისე პროფესორებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ დამსაქმებლებთან კომუნიკაციისა და მათთან აქტიური მუშაობისას გამოიკვეთა, საჯარო მმართველობის სტუდენტებისთვის სოციალური ფსიქოლოგიის ცოდნის მნიშვნელობა, რადგან მათ ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო სერვისებთან უწევთ შეხება.

ექსპერტმა, თამარ ბერიშვილმა, განახადა, რომ არის გარკვეული ხარვეზები, რადგან ვიზიტის შემდეგ მიწოდებული მასალა არ იყო თანხვედრაში. ამასთანავე, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის CV-ებშიც იყო გარკვეული ხარვეზები.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თეა კორძაძემ, განაცხადა, რომ ტექნიკური ხარვეზები უკვე გასწორებულია. დაწესებულებამ პილოტირების სახით დაგეგმა პირველივე სემესტრში ინგლისურენოვანი საგნის შეთავაზება, გაცვლითი პროგრამებისთვის მოსამზადებლად, რათა სტუდენტებმა მაქსიმალურად გამოიყენონ ის შესაძლებლობა, რასაც დაწესებულება სთავაზობს მათ, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლები ფიქრობენ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის გათვალისწინებას. მისი მოსაზრებით ქართულ-ინგლისურ ენაზე განსხვავებული სილაბუსები, ასევე ტექნიკური ხარვეზია, უნდა იყოს იდენტური. მან გამოთქვა მზაობა პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში ინგლისურენოვანი სილაბუსის/სასწავლო კურსის მოხსნის შესახებ.
„საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, აზა იფშირაძემ, განაცხადა, რომ დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი, რადგან სასწავლო გეგმაში „ადამიანური რესურსების მართვა“ პროგრამაში ორჯერ არ უნდა იყოს მითითებული, იგი გაწერილია მესამე სემესტრში. მისი განმარტებით, „სოციალური ფსიქოლოგია“ ძირითად სასწავლო კურსად არის შეთავაზებული, რადგან საჯარო მმართველს უწევს სხვადასხვა სოციალურ ფენებთან კომუნიკაცია, დამსაქმებელთა მხრიდან გამოიკვეთა ინტერესი აღნიშნული სასწავლო კურსის მიმართ და სტუდენტების მხრიდანაც საკმაოდ მოთხოვნადი საგანია.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ კურიკულუმს მოჰყვება დანართი №1 - სასწავლო გეგმა, მე-10 გვერდზე 1.8 არის „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“ და „მარკეტინგი“ ისწავლება მესამე სემესტრში, თუმცა 1.15 „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“ გაწერილია მე-5 სემესტრში.
„საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, აზა იფშირაძემ, განმარტა, რომ საუბარია ტექნიკურ ხარვეზზე.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, „სოციალური ფსიქოლოგიის“ სასწავლო კურსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საჯარო მოხელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხების ცოდნა, ისევე, როგორც ბევრი სხვა საკითხის, როგორიცაა კიბერ უსაფრთხოების, ეთიკის და ა.შ. სწავლის ძირითადი სფერო და ის 120 კრედიტი უნდა უკავშირდებოდეს იმ სასწავლო კურსებს, რომელიც კვალიფიკაციის მინიჭებისთვის არის აუცილებელი და რომელიც განსაზღვრულია ბენჩმარკინგით. „სოციალური ფსიქოლოგია“ არ არის ის სასწავლო კურსი, რომელიც მნიშვნელოვანია კვალიფიკაციის მინიჭებისთვის, ამიტომ შესაძლებელია მისი შეთავაზება არჩევით სასწავლო კურსად. მან ყურადღება მიაქცია აღნიშნულს, რადგან პროგრამა ისეთი ლოგიკით არის აგებული, რომ 121 კრედიტი ენიჭება ძირითად სფეროს, თუკი ამას 5 კრედიტი გამოაკლდება, ეს არ არის 130-135 კრედიტი, რომ 5 კრედიტის მოკლებით არაფერი დაშავდეს, თუმცა ამ შემთხვევაში 5 კრედიტის გამოკლების შემთხვევაში არ გროვდება ძირითადი სასწავლო კურსებისთვის განსაზღვრული კრედიტები. შესაბამისად, დაწესებულება ხელოვნურად ღუპავს პროგრამას, რადგან საერთოდ არ არის აუცილებელი „სოციალური ფსიქოლოგია“, რომელიც პრერეკვიზიტად მოითხოვს ზოგად ფსიქოლოგიას, და ამიტომაც უნდა მოხდეს მისი წინა მოდულში გადატანა. სასწავლო კურსი, რომელიც შეთავაზებულია, შესაძლებელია შეიცვალოს და გახდეს „სოციალური ფსიქოლოგია და ეთიკა საჯარო მოხელისთვის“, რომ ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსი გამოვიდეს.
„საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, აზა იფშირაძემ, განმარტა, რომ 121-ს დაემატება 5 კრედიტი „მუნიციპალური სამართალი“, შესაბამისად „სოციალური ფსიქოლოგიის“ მოხსნა აღარ წარმოადგენს პრობლემას.
სასწავლო კურსის „სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა“ შესახებ, განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა განიხილეს, იმსჯელეს და გადაწყვიტეს, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი 6 კრედიტად წარმოედგინათ, რადგან მასში გაერთიანებულია ზოგადი

სტატისტიკაც. ქართულენოვანი ლიტერატურის შესახებ განაცხადა, რომ ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები იდენტური უნდა იყოს ქართულენოვანი სასწავლო კურსების და სხვაობა კი - ტექნიკური ხარვეზია. სრულიად იდენტური უნდა ყოფილიყო, შემდეგ აღმოჩნდა, რომ ნათარგმნი იყო ჩატოვებული, რის შემდეგაც საგნის წამყვან პროფესორთან ერთად ჩაანაცვლეს ლიტერატურა, შესაბამისად სილაბუსები გამზადდა/განახლდა.

„საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნანა რუსაძემ, განაცხადა, რომ მათ ჰყავთ 5 აფილირებული პროფესორი, 11 აფილირებული-ასოცირებული პროფესორი, 2 აფილირებული-ასისტენტ პროფესორი, ასევე 1 მოწვეული უცხოელი პროფესორი, 14 მოწვეული აკადემიური პერსონალი. აკადემიური პერსონალის ხელშეწყობასთან დაკავშირებით აღნიშნა პროგრამაში ჩართული ყველა აკადემიური პერსონალის მიერ მაღალ რეიტინგულ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები, სხვადასხვა კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად ხელშეწყობა, პროგრამების ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებით მაქსიმალური ხელშეწყობაა, ასევე ფინანსდება მაღალ რეიტინგულ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები, მაქსიმალურად ხდება ტრენინგებში მონაწილეობის მიღების ხელშეწყობა, ფინანსდება გასვლითი ღონისძიებები და ა.შ.

საბჭოს წევრი, ირინა ლობჟანიძე, დაინტერესდა შეიძლებოდა თუ არა მოწვეული პროფესორი ყოფილიყო მაგისტრის ხარისხის მქონე პირი და არსებობს თუ არა რაიმე შიდა რეგულაცია ამასთან დაკავშირებით.

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ნანა შონიამ, განაცხადა, რომ ჰყავთ მოწვეული პროფესორები, რომლებიც არიან, ძირითადად, მაგისტრები ან მათი კურსდამთავრებულები, რომლებიც არიან შესაბამის სფეროში დასაქმებულნი, ასევე ჰყავთ განსაკუთრებული რანგით მოწვეული პერსონალი. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ არ მოხდეს ძლიერი სპეციალისტების გადინება უნივერსიტეტიდან. სალექციო კურსს ატარებს პროფესორი, სემინარი კი შესაძლებელია ჩაატაროს მაგისტრმა ან დოქტორანტმა. აკადემიური და მოწვეული პერსონალის წახალისების შესახებ მან განაცხადა, რომ ნებისმიერ კონფერენციაში მონაწილეობას, სტატიის გამოქვეყნებას, გადამზადებას აფინანსებს ფაკულტეტი, რომელიც მრავალრიცხოვანია და ფინანსურად ძლიერი, მისი ფინანსური რესურსის ფარგლებში ხდება დაფინანსება მოტივაციის ფარგლებში, უნივერსიტეტი მაღალ რეიტინგულ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების ავტორებს აფინანსებს წელიწადში 2500 ლარით, გარდა ამისა ფაკულტეტი შიდა საგრანტო კონკურსებსაც ატარებს.

„საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, აზა იფშირაძემ, ინგლისურ ენასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული მიმართულება გადავიდა მენეჯმენტი და ადმინისტრირების ქუდის ქვეშ, რომელიც შედარებით ახალი პროგრამაა, ადრე სოციალურ მეცნიერებებში იყო, მაგრამ ახლა ბიზნესის ადმინისტრირებაში მოიაზრება. ამ მხრივ პროგრამაში შეიტანეს სიახლეები, მენეჯმენტის სასწავლო კურსებით დაიტვირთა პროგრამა და ჩათვალეს, რომ შესაძლებელი იყო უცხო ენაზე შეეთავაზებინათ სასწავლო კურსები, პირველი ეტაპისთვის შესთავაზეს ინგლისურ ენაზე, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია სხვადასხვა ენით იყვნენ სტუდენტები ჩარიცხულნი, სურდათ პრაქტიკაში ეცადათ აღნიშნული, ამასთანავე, მომავალში გეგმავენ სხვა ენებზეც იქნას შეთავაზებული სასწავლო კურსები.

საბჭოს წევრი, ირინა ლობჟანიძე, დაინტერესდა თუ როგორ საზღვრავენ მაღალი რეიტინგის მქონე ჟურნალს.

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ნანა შონიამ, განაცხადა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია სამეცნიერო კვლევითი ცენტრი და მას აქვს განსაზღვრული თუ რომელ ჟურნალში არის შესაძლებელი სტატიების გამოქვეყნება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:53

დასრულების დრო: 16:13

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:
რეკომენდაციები:
1. რეკომენდირებულია, რომ სასწავლო კურსების ეკონომიკის პრინციპები და აკადემიური წერა , შეთავაზება მოხდეს არა ინგლისურ არამედ ქართულ ენაზე;
2. რეკომენდებულია, რომ სასწავლო კურსი ადამიანური რესურსების მენეჯმენტი შეთავაზებულ იქნას ქართულ-ინგლისურენოვანი კომპონენტებით;
3. რეკომენდებულია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი გადატანილ იქნას სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტში;
4. რეკომენდირებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის „სოციალური ფსიქოლოგია“ სტატუსი და ადგილი პროგრამის სტრუქტურაში;
5. რეკომენდირებულია, ინგლისურენოვანი კურსების შეთავაზების შემთხვევაში გათვალისწინებული იქნეს ინგლისური ენის წავლების დონე, ენობრივი წინაპირობა და კურსის განხორციელების ლოგიკური ვადა/პერიოდი;
6. პროგრამის დოკუმენტაცია მოვიდეს შესაბამისობაში ერთმანეთთან და გასწორდეს ცდომილებები;
7. ცხადად უნდა გაიწეროს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის მუშაობის შეფასების პროცედურა (მათ შორის, მაღალინდექსირებადი ჟურნალების მითითებით); აღნიშნული შეფასება განხორციელდეს სისტემატური ხასიათით და შედეგები აისახოს დოკუმენტალურად;

რჩევები:
1. სასურველია, რომ პროგრამის აღწერილობით დოკუმენტში მკაფიოდ იქნას გაწერილი იმ minor პროგრამების ჩამონათვალი, რომელთა არჩევაც არის შესაძლებელი საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის პერიოდში. სასურველია, რომ სასწავლო პროგრამის კურიკულუმს დაემატოს საჯარო გამოსვლის სასწავლო კურსი;
2. სასურველია, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები სასწავლო კურსების სილაბუსებში (ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი) და შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან;
3. გაიზარდოს ფინალური გამოცდის მინიმალური ზღვარი მინიმუმ 50%-მდე;
4. კარიერული განვითარების მიმართულების კიდევ უფრო გააქტიურება ვაკანსიებსა და სტაჟირებებზე ფართო და პერმანენტული ხელმისაწვდომობის გაზრდით;
5. სისტემატურად განახლდეს აკადემიური პერსონალის პირადი ინფორმაცია;
6. სამომავლო ფინანსური პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, სასურველია, რომ მოხდეს ფინანსური ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში, გაიზარდოს სტუდენტთა რაოდენობა;

7. სასურველია, შიდა ხარისხის მექანიზმების გაუმჯობესება, შემდგომში პროგრამაში ტექნიკური ხარვეზების პრევენციის მიზნით;
8. სასურველია მოხდეს საგანმანათლებლო პროცესში გამოვლენილი ხარვეზების და მათ აღმოსაფხვრელად გატარებული ღონისძიებების დოკუმენტირება/ფორმალიზება.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნტის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და 3^1 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

16:15 საათზე საბჭო დატოვა ერეკლე ასტახიშვილმა.

3. მესამე საკითხი: შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	03.08.2017 გადაწყვეტილება №50
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პოლიტიკის მეცნიერებები და

		მოქალაქეობრიობის საფუძვლები - 0312
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. №25
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამთა ცხოვრებაძემ, განაცხადა, რომ ძირითადი რეკომენდაციები პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტს ეხება.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული ეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია გადაიხედოს კურიკულუმის რუკა და რელევანტურად განისაზღვროს სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი, რამდენადაც კურიკულუმის რუკაში მითითებული იყო გარკვეული კურსები, რომლებიც ყველა სწავლის შედეგს განამტკიცებდა და გადიოდა ყველა სწავლის შედეგზე, თუმცა აღნიშნული კურსების სილაბუსების თანახმად არ იყო შესაბამისობაში კურსების სწავლის შედეგები და სტუდენტთა შედეგებზე გასვლის ხარისხი, სწორედ აქედან გამომდინარე დადგა აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საჭიროება;
2. რეკომენდებულია დაკორექტირდეს რიგ სილაბუსებში სწავლის შედეგები მათი ფორმულირების, მიღწევადობის და გაზომვადობს თვალსაზრისით;
3. მოლაპარაკებების ხელოვნების და სხვა სასწავლო კურსების შემთხვევაში მიზანშეწონილია მეტი ყურადღება სიმულაციური თამაშების გამოყენებისა და შეფასების თვალსაზრისით, რაც რეკომენდებული იქნა წინა აკრედიტაციის დასკვნაშიც;
4. რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებულ იქნას კვლევის საკითხების, არგუმენტის/ჰიპოთეზის ფორმულირების, მეთოდოლოგიის, ლიტერატურის მიმოხილვის კომპონენტები, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის სრულყოფილ შეფასებას;

5. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მდგრადობის გასაუმჯობესებლად რეკომენდებულია, გაიზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ ტუფინაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულება ეთანხმება პირველ რეკომენდაციას, რადგან პროგრამა რეალურად აკრედიტებულია 2017 წელს, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ ახლა მოიყვანა სტანდარტთან შესაბამისობაში, ძველი კურიკულუმის რუკა არ ასახავდა თუ რა დონით გადიოდა ესა თუ ის სასწავლო კურსი შედეგზე. დაწესებულებამ აღნიშნული დააკორექტირა, თუმცა ჯერ არ ჰყავთ კურსდამთავრებულები. შესაბამისად, შედეგების შეფასება ჯერ არ განხორციელებულა. მისთვის გასაგებია, კურიკულუმის რუკის მიმართ გამოთქმული მოსაზრება, რაც აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.

მეორე რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ დასკვნის მე-13 და მე-14 გვერდზე ექსპერტებს ნახსენები აქვთ, რომ სილაბუსებში სწავლის შედეგები უმეტესად გაწერილია ცხადად, აქტიური ზმნების გამოყენებით, თუმცა გარკვეულ სილაბუსებში ზოგიერთი შედეგი არ არის გაზომვადი, აწმყო დროში და ცხადად ფორმულირებული, მაგ., „ფლობს ინფორმაციას თანამედროვე მიგრაციული პროცესების გამომწვევი მიზეზებისა და ტენდენციების შესახებ (საერთაშორისო თანამედროვე მიგრაცია), იყენებს ფსიქოლოგიურ უნარებს სხვადასხვა საკითხთან (პიროვნული, სოციალური თუ ორგანიზაციული) მიმართებაში (ფსიქოლოგიის საფუძვლები), შეიმუშავებს საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლის სფეროში არსებული პრობლემების გადაწყვეტის გზებს და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით და სხვ.“ აღნიშნული გამოთქმულია ერთი სავალდებულო და ორი არჩევით სასწავლო კურსის მიმართ. დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით, დასახელებული სწავლის შედეგები ნამდვილად აღწერს ცოდნას, გაწერილია აწმყო დროში და განმარტავს თუ რისი თქმა სურდათ პროგრამის წარმომადგენლებს. დაწესებულების წარმომადგენლები თვლიან, რომ შედეგები ნამდვილად არის ფორმულირებული ნათლად, აწმყო დროში, რაც შეეხება შედეგების მიღწევადობას, შედეგების მეთოდები, შეფასების მეთოდები, სასწავლო მასალა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევადობას, ხოლო დეტალური შეფასების მეთოდები/კრიტერიუმები და ქულები შედეგების გაზომვადობას უზრუნველყოფს. მან აღნიშნა, რომ ყველა სილაბუსის ბოლოს მითითებულია შედეგების შეფასების რუკა, ანუ რომელი კონკრეტული კრიტერიუმით ხდება აღნიშნული შედეგის შეფასება, აქედან გამომდინარე დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციას არ ეთანხმება.

მესამე რეკომენდაციის შესახებ მან განმარტა, რომ სასწავლო კურსის „მოლაპარაკებების ძირითადი სტრატეგიები და უნარები“ განსაზღვრულია, რომ ზეპირი გამოკითხვით სტუდენტი ფასდება მეორე, მერვე, მეთოთხმეტე კვირაში, დისკუსიით ფასდება მეხუთე მეათე კვირაში, როლური თამაშები გაწერილია 4 კვირის განმავლობაში, სიტუაციური ამოცანა 2 კვირის განმავლობაში, მეშვიდე კვირაში არის შუალედური გამოცდა და ბოლო კვირაში პრეზენტაცია, მათი მოსაზრებით, მრავალფეროვანი და რელევანტური შეფასებებით არის დატვირთული აღნიშნული სასწავლო კურსი. მისი თქმით დაწესებულებას ბევრი პროგრამა აქვს აკრედიტებული, ბევრი ვიზიტი ჰქონიათ, მაგრამ ყოველთვის კითხვის ნიშანს იწვევს თუ რას ნიშნავს „მეტი ყურადღება“, აქედან გამომდინარე დაწესებულება არ დაეთანხმა აღნიშნულ რეკომენდაციას.

მეოთხე რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ მისთვის გასაგებია ჰიპოთეზის, არგუმენტის, მეთოდოლოგიის უფრო ჩაშლა, თუმცა ეს არის სასწავლო კომპონენტი, რომელიც ემსახურება იმ კვლევის ელემენტარული საფუძვლების შექმნასა და განვითარებას სტუდენტში, რომელიც ამზადებს მაგისტრატურის საფეხურისკენ. თვლიან, რომ აღნიშნულ საფეხურთან მიმართებაში მნიშვნელოვანი შეფასების კრიტერიუმებია, რომლებიც სწავლის შედეგების მიღწევის სრულყოფილ შეფასებას უზრუნველყოფს.

მეხუთე რეკომენდაციის შესახებ კი განაცხადა, რომ პროგრამაში ჩართულია 5 პროფესორი, 11 ასოცირებული პროფესორი, მათგან 1 პროფესორი არის აფილირებული, დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი, თუმცა აღნიშნულ პროგრამაზე სწავლობს 30 სტუდენტი. შესაბამისად, პერსონალის რაოდენობა ამ ეტაპზე საკმარისია და არ საჭიროებს გაზრდას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ, პერსონალის შესახებ განაცხადა, რომ, როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, ჰყავთ რამდენიმე აფილირებული პროფესორი. იგი გაეცნო პერსონალის დოკუმენტს და დაინტერესდა მათგან რამდენია დარგობრივი აფილირებული პროფესორი, რადგან მათი ნაწილი არ არის დარგის სპეციალისტი.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რადგან ექსპერტთა ჯგუფი გასცემს რეკომენდაციას ეს ნიშნავს, რომ არსებობს ხარვეზი. დაინტერესდა არის თუ არა საკმარისი რესურსი იმისათვის, რომ პროგრამის მდგრადობა იყოს უზრუნველყოფილი.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ, განაცხადა, რომ მისი კითხვები ეხებოდა პირველ და მეორე რეკომენდაციას, დაინტერესდა არის თუ არა ამ ორ რეკომენდაციას შორის შინაარსობრივი გადაფარვა/თანხვედრა და რამდენად მისაღებია საბაკალავრო დონეზე კვლევითი კომპონენტის შემოღება შეფასების მიზნით, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, თამთა ცხოვრებაძის, განცხადებით, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პერსონალი ემსახურება ორ პროგრამას საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამას, ამასთანავე ექსპერტთა ჯგუფი შეზღუდული იყო, მათ შორის აქტიური სტუდენტების რაოდენობის გაგებაზეც, განიხილეს ზოგადად, რომ დარგის პერსონალი არ იქნება საკმარისი სამომავლოდ პროგრამის მდგრადი განხორციელების მიზნით. რაც შეეხება, რეკომენდაციების გადაფარვას, ეს არის ცალ-ცალკე რეკომენდაციებია, რადგან კურიკულუმის რუკა ეხმარება სწორედ ამ სწავლის შედეგების მიღწევის დონეს, გაზომვადობასა და შესაბამისობას თუ რამდენად სწორად არის ფიქსირებული სასწავლო კურსები კონკრეტულ სწავლის შედეგებთან მიმართებით, სწავლის შედეგებზე კი უკვე ისაუბრეს. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების შესახებ მან განაცხადა, რომ სწავლის შედეგებიდან და იმ მოცემულობიდან გამომდინარე, რომ ის უნდა ემსახურებოდეს საერთაშორისო ურთიერთობების კვლევითი მეთოდების გამომუშავებას, ამ შემთხვევაში თეორიულ ჩარჩოს, იგივე ჰიპოთეზის ფორმულირებას. კითხვების ფორმულირების ნარატივი ძალიან მნიშვნელოვანია, შესაძლოა არ არის კვლევითი კომპონენტი, მაგრამ მას აქვს მიზანი, მოამზადოს საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული სამაგისტრო სწავლებისთვის.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ ტუფინაშვილმა, განაცხადა, რომ საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით დაწესებულება თავის აზრზე რჩება, პროგრამის საფეხურიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე. რაც შეეხება დარგს, 3 პროფესორი აფილირებულია, თუმცა პროგრამას ემსახურება 16 პროფესორი, აქედან 5 პროფესორი და 11 ასოცირებული პროფესორი. დაწესებულება ექსპერტთა ჯგუფს დაეთანხმა, რომ აუცილებლად გაზრდიდნენ აფილირებული პერსონალის რაოდენობას. მისი თქმით, მხოლოდ ერთი პროფესორია აფილირებული დარგობრივი, დანარჩენი არის პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი. კურიკულუმის რუკის შესახებ კი აღნიშნა, რომ სპეციფიკიდან გამომდინარე დაწესებულებამ რამდენიმე სასწავლო კურსს მისცა იმის უფლება, რომ გაეცნო და გაეღრმავებინა სპეციფიკა/შინაარსი.

4. მეოთხე საკითხი: შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1		

	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	03.08.2017 გადაწყვეტილება №51
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები - 0312
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. №25
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამთა ცხოვრებაძემ, განაცხადა, რომ რეკომენდაციები გარკვეულწილად მეორდებოდა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია დაკორექტირდეს რიგ სილაბუსებში სწავლის შედეგები მათი ფორმულირების და გაზომვადობის თვალსაზრისით;
2. რეკომენდებულია „პოლიტიკური ხელისუფლების თეორია“, „დემოკრატია და დემოკრატიზაცია“, „ორგანიზაცია და მართვის პრინციპები“ სასწავლო კურსების სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების საფეხურის მოთხოვნებთან;
3. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კომპონენტების შემთხვევაში მეტ ყურადღებას საჭიროებს კვლევის საკითხების და არგუმენტის/ჰიპოთეზის ფორმულირება;
4. საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მდგრადობის გასაუმჯობესებლად რეკომენდებულია, გაიზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ ტუფინაშვილმა, განაცხადა, რომ 2.3 კომპონენტთან მიმართებაში იგივე მოსაზრება აქვს დაწესებულებას. საფეხურების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ მან განაცხადა, რომ საუბარია მხოლოდ არჩევით სასწავლო კურსებზე. ექსპერტები მიუთითებენ, რომ საფეხურთან შესაბამისობაშია მოსაყვანი, რასაც აუცილებლად დაწესებულების წარმომადგენლები გადახედავენ, თუმცა ამ ეტაპზე მათი მოსაზრებით არჩევითი სასწავლო კურსები სრულ შესაბამისობაშია, როგორც საფეხურთან, ასევე მის მიზნებთან. დაწესებულების წარმომადგენელი არ დაეთანხმა რეკომენდაციას სამაგისტრო ნაშრომის შეფასების შესახებ, რადგან დოკუმენტიც წარმოდგენილია და ინფორმაციაც ჩაშლილია არგუმენტირებულ პოზიციაში. დაწესებულება ვიზიტიდან ვიზიტამდე უამრავ საკითხს სწავლობს, თუმცა სამაგისტრო პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებით არცერთ სხვა პროგრამაზე არ მიუღიათ რეკომენდაცია.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა, დაინტერესდა ერთ აფილირებულ დარგობრივ პროფესორთან დაკავშირებით არის თუ არა იგივე, ვინც საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაშია ჩართული. ასევე დაინტერესდა არჩევითი სასწავლო კურსებით , რომლებიც საფეხურთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს, საუბარია მხოლოდ ზმნების ნაწილში თუ არსებობს სხვა ხარვეზებიც.
საბჭოს წევრი, ირინა ლობჟანიძე, დაინტერესდა თუ რა ინტენსივობით ახორციელებენ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მონიტორინგს.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ ტუფინაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებას აქვს შედეგების შეფასების მექანიზმი, სადაც გაწერილია თუ რა ინტენსივობით უნდა განხორციელდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, პირველი კურსდამთავრებული საბაკალავრო პროგრამაზე ეყოლებათ მიმდინარე სასწავლო წელის ბოლოს და აღნიშნული შეფასება შედგება მას შემდეგ. სამაგისტრო პროგრამას კი უკვე ორი თაობა კურსდამთავრებულები ჰყავს, თუმცა შესაბამისობაში ამ კუთხით პროგრამა მიმდინარე წელს მოვიდა და ახლა გეგმავენ მის შეფასებას. აფილირებულ პროფესორთან დაკავშირებით განმარტა, რომ ერთი ადამიანი ემსახურება ორივე პროგრამას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამთა ცხოვრებაძემ, განაცხადა, რომ უმეტესწილად სასწავლო კურსები მოიცავს იმ ნაწილებს, რომელიც სამაგისტრო პროგრამაში უნდა იყოს გაწერილი, თუმცა საჭიროებს გარკვეულ ცვლილებას.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თამარ ტუფინაშვილმა, დასძინა, რომ საუბარია ცვლილებაზე შედეგებთან მიმართებით, არჩევითი სასწავლო კურსების შემთხვევაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:40
დასრულების დრო: 17:12

აკრედიტაციის საბჭოს მიერ შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ სხდომის თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის მეორე სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რადგან კომპონენტი 2.6, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:
რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია გადაიხედოს კურიკულუმის რუკა და რელევანტურად განისაზღვროს სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი;
2. რეკომენდებულია დაკორექტირდეს რიგ სილაბუსებში სწავლის შედეგები მათი ფორმულირების, მიღწევადობის და გაზომვადობის თვალსაზრისით;
3. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მდგრადობის გასაუმჯობესებლად რეკომენდებულია, გაიზარდოს აფილირებული, დარგობრივი აკადემიური პერსონალის რაოდენობა;

რჩევები:
1. სასურველია, სამიზნე ნიშნულების დადგენილ საორიენტაციო ზღვართან ერთად, მითითებულ იქნას შესაბამისი სასწავლო კურსები და დეტალები თუ როგორ ფასდება სასწავლო ნიშნულები;
2. სასურველია თემატური გადაფარვების გადახედვა შემდეგ სასწავლო კურსებში-საერთაშორისო ორგანიზაციები და ტრანსნაციონალური კორპორაციები და საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი;

3. მოლაპარაკებების ხელოვნების და სხვა სასწავლო კურსების შემთხვევაში მიზანშეწონილია მეტი ყურადღება სიმულაციური თამაშების გამოყენებისა და შეფასების თვალსაზრისით;
4. საბაკალავრო ნაშრომის შეფასებაში გათვალისწინებულ იქნას კვლევის საკითხების, არგუმენტის/ჰიპოთეზის ფორმულირების, მეთოდოლოგიის, ლიტერატურის მიმოხილვის კომპონენტები, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის სრულყოფილ შეფასებას;
5. სასურველია, მეტი აქცენტი გაკეთდეს პროგრამაში დარგის, კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტიკის მეცნიერებების, სპეციალისტების ჩართულობაზე, რათა გათვალისწინებული იქნას სფეროს განვითარების ტენდენციები, ასევე დარგის შესწავლის საუკეთესო პრაქტიკა.
6. პანდემიით გამოწვეული სიტუაციის მიუხედავად, სასურველია, დისტანციური და შერეული მუშაობის ფორმატის პირობებში პროგრამაში ჩართული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები;
7. სასურველია, ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების, ასევე კონფერენციების შემთხვევაში მეტი აქცენტი გაკეთდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობაზე უშუალოდ დარგთან დაკავშირებულ ღონისძიებებში;

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ემუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ სხდომის თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის მეორე სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რადგან კომპონენტი 2.6, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია დაკორექტირდეს რიგ სილაბუსებში სწავლის შედეგები მათი ფორმულირების და გაზომვადობის თვალსაზრისით;
2. რეკომენდებულია „პოლიტიკური ხელისუფლების თეორია“, „დემოკრატია და დემოკრატიზაცია“, „ორგანიზაცია და მართვის პრინციპები“ სასწავლო კურსების სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების საფეხურის მოთხოვნებთან;
3. სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კომპონენტების შემთხვევაში მკაფიოდ გამოიკვეთოს არგუმენტის/ჰიპოთეზის (მათი არსებობის შემთხვევაში) ფორმულირება;
4. საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მდგრადობის გასაუმჯობესებლად რეკომენდებულია, გაიზარდოს აფილირებული, დარგობრივი აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

რჩევები:

1. სასურველია მეტი ანალიტიკური ხასიათის დავალებების გამოყენება, რათა შესაბამისად გაიზომოს სწავლის შედეგების მიღწევა კრიტიკული აზროვნების თავლსაზრისით და საგნის სიღრმისეული შესწავლის მიზნით;
2. სასურველია, მეტი აქცენტი გაკეთდეს პროგრამაში დარგის, კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტიკის მეცნიერებების, სპეციალისტების ჩართულობაზე, რათა გათვალისწინებული იქნას სფეროს განვითარების ტენდენციები, ასევე დარგის შესწავლის საუკეთესო პრაქტიკა;
3. პანდემიით გამოწვეული სიტუაციის მიუხედავად, სასურველია, დისტანციური და შერეული მუშაობის ფორმატის პირობებშიც პროგრამაში ჩართული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები;
4. სასურველია, ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების, ასევე კონფერენციების შემთხვევაში მეტი აქცენტი გაკეთდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობაზე უშუალოდ დარგთან დაკავშირებულ ღონისძიებებში.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ემუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „საერთაშორისო ურთიერთობების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

17:00 საბჭოს შემოუერთდა ერეკლე ასტახიშვილი.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	26.07.2016 გადაწყვეტილება №63
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ეკონომიკა - 0311
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ბათუმი, 6010, საქართველო, რუსთაველის ქ. №53
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით სიხარულიძემ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი, პროგრამის მოცულობა არის 240 კრედიტი.
პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:
პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; 1.1 კომპონენტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 1.2. კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; 2.1, 2.4, 2.5 კომპონენტები შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; 2.2, 2.3, 2.6 კომპონენტები შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; 4.1, 4.2 კომპონენტები შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. რეკომენდირებულია სწავლის შედეგების გეგმის შემუშავება სწავლის შედეგების მიღწევის შესაბამისი მტკიცებულებების განსაზღვრის მიზნით - დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტები, სადაც დაფიქსირებულია სწავლის შედეგები, შემფასებლები, სწავლის შედეგების მიღწევის მტკიცებულებები, თუმცა დოკუმენტში ასევე წერია, რომ მტკიცებულებებს წარმოადგენს სასწავლო კურსები, მაგრამ არ არის მოცემული თუ როგორ ხდება სწავლის შედეგების მიღწევა, კერძოდ არ არის მოცემული სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სამიზნე ნიშნულები, სამიზნე ნიშნულებთან დადარების მექანიზმი, მონიტორინგის პერიოდულობა, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, თუ როდის და რა ინსტრუმენტებით უნდა მოხდეს სწავლის შედეგების შეფასება და სტუდენტთა რა რაოდენობა უნდა შეფასდეს იმისათვის, რომ დადგინდეს სწავლის შედეგების მიღწევა;
2. რეკომენდირებულია კურიკულუმის რუკის დახვეწა, კერძოდ, სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსებს შორის ლოგიკური კავშირის და დონეების განსაზღვრა - დაფიქსირდა დარღვევა და ასევე, დარღვეულია სწავლის შედეგების მიღწევის დონეები, კერძოდ, გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება;
3. რეკომენდირებულია სწავლის შედეგების რუკაზე სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის მიმართება განისაზღვროს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებით;
4. რეკომენდირებულია ძირითადი სწავლის სფეროს მოდულში მოცემული ბიზნესის საგნები ჩანაცვლდეს ეკონომიკის საგნებით მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან მეტად შესაბამისობაში მოყვანის მიზნით - პროგრამაში არის გარკვეული რაოდენობით ბიზნესის საგნები, რაც უნდა ჩანაცვლდეს ეკონომიკის საგნებით, რაც უფრო ახლოს მივა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;
5. რეკომენდირებული სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგები ახლანდელ დროში იყოს ფორმულირებული და სწავლის შედეგების ფორმულირებისას გათვალისწინებული იყოს აქტიური ზმნების გამოყენება;

6. რეკომენდებულია ზოგიერთ სილაბუსში დეტალურად გაიწეროს შეფასებები;
7.რეკომენდებულია სილაბუსებში შეფასებების ნაწილში დაემატოს განმარტება: „საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში“.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

მან განმარტა, რომ საბჭო გაეცნო დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას, რომლის თანახმადაც დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ყურშუბაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის შვიდივე რეკომენდაცია, განხორციელების პროცესში შეიმუშავეს მაკორექტირებელი ქმედებების გეგმა, განსაზღვრეს პასუხისმგებელი პირები და ჯგუფი, რომელიც იმუშავებს თითოეული რეკომენდაციის შესრულებაზე და გეგმავენ შვიდივე რეკომენდაციის შესრულებას. აღნიშნული სამუშაოს დასრულება ჯგუფის მიერ დაგეგმილია 2022 წლის სექტემბრისთვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:21
დასრულების დრო: 17:27

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ სხდომის თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის კომპონენტი 1.2, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ხარვეზების გასასწორებლად დამატებით 60 დღიანი ვადის განსაზღვრის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:
რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სწავლის შედეგების გეგმის შემუშავება სწავლის შედეგების მიღწევის შესაბამისი მტკიცებულებების განსაზღვრის მიზნით.
2. რეკომენდირებულია კურიკულუმის რუკის დახვეწა, კერძოდ სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსებს შორის ლოგიკური კავშირის და დონეების განსაზღვრა.
3. რეკომენდირებულია სწავლის შედეგების რუკაზე სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის მიმართება განისაზღვროს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებით
4. რეკომენდირებულია ძირითადი სწავლის სფეროს მოდულში მოცემული ბიზნესის საგნები ჩანაცვლდეს ეკონომიკის სასწავლო კურსებით მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან მეტად შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

5. რეკომენდირებულია რიგი სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგები ახლანდელ დროში იყოს ფორმულირებული და სწავლის შედეგების ფორმულირებისას გათვალისწინებული იყოს აქტიური ზმნების გამოყენება.
6. რეკომენდებულია ზოგიერთ სილაბუსში დეტალურად გაიწეროს შეფასებები;
7. რეკომენდებულია სილაბუსებში შეფასებების ნაწილში დაემატოს განმარტება: „საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში“.

რჩევები:

1. სასურველია როგორც პროგრამაში, ასევე სილაბუსებში დეტალურად იქნეს აღწერილი როგორც სწავლა-სწავლების, ასევე შეფასების მეთოდები.

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს რეკომენდაციები რომლებიც ოქმშია მოცემული.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 7 ივნისის 17:29 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით